ურბანულ სივრცეში წყლის კონსერვაციის მოტივაციასა და საყოფაცხოვრებო წყალმოხმარების ინტენსივობაზე მოქმედი ფაქტორების ანალიზი ქ. თბილისის მაგალითზე

ნატა გოგია

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტზე ბუნებათსარგებლობაში მეცნიერების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

პროგრამა: ბუნების დაცვა და მეტყევეობა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ქეთევან უგრეხელიძე

თანახელმძღვანელი: გიორგი მერებაშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2023

განაცხადი

”როგორც წარდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად“.

ნატა გოგია

16.01.2023

აბსტრაქტი

მოცემულ ნაშრომში წარმოდგენილია კვლევა თბილისის შინამეურნეობებში წყლის საყოფაცხოვრებო მოხმარებაზე მოქმედ ფაქტორებთან დაკავშირებით. კერძოდ, კვლევის ძირითადი მიზანია იმ ძირითადი სოციო-დემოგრაფიული, ეკონომიკური თუ გარემოსდაცვით ფასეულობებთან დაკავშირებული ცვლადების გამოვლენა, რომლებიც გავლენას ახდენენ წყლის კონსერვაციის მოტივაციაზე.

აღნიშნული ინფორმაციის მისაღებად, თბილისის შინამეურნეობებში გავრცელდა ონლაინ, ანუ დისტანციური კითხვარი. მიღებული შედეგების თანახმად, მართალია გამოკითხული წყალმომხმარებლები მეტ-ნაკლებად იაზრებენ ყოველდღიურად საყოფაცხოვრებო წყლის დაზოგვის აუცილებლობას და პოზიტიურად არიან განწყობილნი წყლის კონსერვაციისადმი, თუმცა ამჟამად წყლის დაზოგვის პრაქტიკას მათ ყოველდღიურობაში ნაკლებად ექცევა ყურადღება. ამის მიუხედავად, გამოთქვამენ მზაობას წყალი დაზოგონ და რაც უფრო მაღალია ცნობიერება, მით უფრო იზრდება წყლის კონსერვაციის მოტივაციაც. ასევე, გარემოსდაცვითი ცვლადების გარდა, გამოიკვეთა ისეთი სოციო-ეკონომიკური ფაქტორების როლიც, როგორებიცაა შემოსავალი, წყალზე დაწესებული გადასახადი და ასაკი. ხოლო ისეთ ცვლადებს, როგორებიც არის სქესი, ოჯახში წევრების რაოდენობა, საცხოვრისის ტიპი და წყალზე დაწესებული გადასახადის გადახდის მეთოდი, წყლის კონსერვაციისადმი მზაობაზე სტატისტიკურად სარწმუნო გავლენა არ ჰქონია.

საბოლოო ჯამში, მოცემული კვლევა იძლევა საბაზისო ინფორმაციას თბილისში საყოფაცხოვრებო წყალმოხმარების კუთხით არსებული ზოგადი ტენდენციებისა და წყალმომხმარებელთა ქცევების, დამოკიდებულებისა და წარმოდგენების შესახებ, რაც გამოსადეგი იქნება როგორც ანალოგიური თემატიკის სამომავლო კვლევებისთვის, ისე ურბანულ სივრცეში წყლის რესურსების მდგრადი მართვის მიდგომების შემუშავების დროს გასათვალისწინებლად.

ძირითადი საძიებო სიტყვები: საყოფაცხოვრებო წყალმოხმარება, ურბანული წყალმოხმარება, წყლის კონსერვაცია, კონსერვაციის მოტივაცია

Abstract

The following paper assesses factors influencing residential water consumption in Tbilisi households. The main research objective is to indentify the key socio-demographic, economic and environmental variables that affect people's willingness and intention to conserve water.

An online questionnaire was distributed among Tbilisi households in order to collect the necessary data. Data analysis revealed, that even though the surveyed water consumers are generally aware of the significance of conserving water and have positive attitudes toward water conservation, they currently don't make much effort adopting water-saving behaviors in their daily lives. They do, however, express willingness to save water in the future, and the higher the awareness, the greater the motivation for water conservation. Along with environmental factors, the influence of socio-economic variables such as income, water price and age was also revealed during the analysis. However, factors like gender, number of residents in the household, dwelling type and different water charging methods, did not have a statistically significant influence on the willingness to conserve water.

Overall, this study provides data about general trends and patterns of household water consumption as well as behaviors, attitudes and perceptions of residential water consumers in Tbilisi. This information will be helpful for future studies on related topics as well as for consideration during the development of sustainable water resources management approaches in urban settings.

Key Words: Residential Water Consumption, Urban Water Use, Water Conservation, Conservation Motivation.

მადლობა

უპირველეს ყოვლისა, მინდა უღრმესი მადლობა გადავუხადო ჩემს ხელმძღვანელს - ქეთევან უგრეხელიძეს - რომელიც კვლევის დაგეგმვისა და ნაშრომის წერის ეტაპებზე მუდმივად მაძლევდა რჩევებს, მეხმარებოდა ნაშრომის დახვეწასა და კითხვარის გავრცელების პროცესში.

მადლობა მინდა გადავუხადო ჩემს თანახელმძღვანელს, გიორგი მერებაშვილს, რომელიც ასევე დამეხმარა აღნიშნულ პროცესში, მათ შორის, თბილისის რუკის მომზადებაში.

ასევე, მადლობა ბატონ ლევან მუმლაძეს მონაცემთა სტატისტიკური დამუშავების მეთოდებთან დაკავშირებით გაწეული კონსულტაციისთვის.

და ბოლოს, უღრმესი მადლობა ჩემს ყველა მეგობარს, ახლობელსა თუ ნაცნობს, ვინც აქტიურად დამეხმარა კითხვარის გავრცელებაში და ასევე მათ, ვინც არ დაიზარა კითხვარის შევსება, რამდენადაც ამ კვლევის განხორციელება მათი მონაწილეობის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა.